საქართველოს "კომუნისტური პარტიის" (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

სამშაბათი, 2 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 83 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 83

„ჟორესი განაგრძობს: „ასე ვუპასუხებ მე იმათ, ვინც მუშათა კლასს ეუბნება, ისეთი საგნები, რომლებიც სამშობლოს ეკუთვნის, მთელი ნაციონალური ტრადიციები შენთვის საინტერესო არ არისო“. მე ესეც მაკვირვებს. მარქსსა და ენგელსს მუშებისათვის თავის დღეში არ უთქვამთ, „ისეთი საგნები, რომლებიც სამშობლოს ეკუთვნის, შენთვის საინტერესო არ არისო“. მაგრამ ასეთი „საგნები“ რომ მეინტერესებოდეს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უთუოდ პატრიოტი უნდა ვიყო. პოლიტიკური ბატონობა, კლასობრივი დიქტატურა—ისეთი „საგნებია“, რომლებსაც „სამშობლოსთან“ ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ, და განა მანიფესტის ავტორები პროლეტარიატს მუდამ არ ურჩევდენ, მას მათ მოსაპოებლათ თავგამოდებით ებრძოლა? და ჟორესს ტყულად ჰგონია, რომ ვინც სამშობლოს იდეას უარყოფს, ერის კულტურულ წინსვლასაც გულგრილად უყურებს. ხალხს სწორედ კულტურის წარმატება აგნებინებს ამ იდეის სივიწროვეს“.

გ. პლეხანოვი. „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“. (გვ. 8).

## ბონების გამობრუნება შეუძლებელია

სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ცათაშინა გაისმოდა აღტაცებული და მკვეხარა ხმა: ჩვენში ყველაფერი წესრიგზეა, მენშევიკების ოაზისში ყველაფერი და ყოველივე მოძრაობს წინ და მაღლა, უკეთეს და საუკეთესო მომავლისაკენ მისწრაფებითო. დემოკრატიის მზეზე პაწაწკინტელა ლაქაც კი არ არსებობდა ვითომ. ბოლოს მზის მაგიერ ერთი უშველებელი ლაქა დარჩა. თვით ნ. ჟორდანიამ, რომელიც მენშევიკების ოფიციალური განცხადებით არის „მამა“ პარტიისა და „მამა ერისა“, იძულებული შეიქნა ახლა გამოეცხადებია თავის ოჯახისათვის, რომ „ჩვენ უკვე შევედით კატასტროფაში“. ორი წლით დაგვიანებული გულახდილობით მან ამცნო ქვეყანას საშინელი ახალი ამბავი: საქართველოში თურმე დასეირნობს 9 მილიარდი მანეთის მარტო ქართული ქაღალდის ბონები, ეს ქაღალდის ფულის მეორე ხარისხოვანი ნიშნები. ადვილი საქმეა ამ ციფრის ზეპირათ ხსენება, მაგრამ ერთი შინჯეთ და წარმოიდგინეთ ამ ციფრის რაოდენობა; წარმოიდგინეთ საშინელებათა ოკეანე, რომელიც იმალება ამ ქაღალდის ფულების ზედაპირის ქვეშ იმ ქვეყნისათვის, რომელსაც ახასიათებს მოწიწება ხელშეუხებელ, საღვთო კერძო საკუთრებისადმი: ქრისტეს დაბადების დღიდან მხოლოდ ერთი მილიარდი წუთია ძლივს გასული! რა ეშველება ამ ქაღალდის ნაგავს, რომელიც წისქვილის ქვასავითაა მშრომელი ხალხის კისერზე ჩამოკიდებული დ მას მიაქანებს წარმოუდგენელ გაღატაკების დ ტანჯვა-წვალების ზღვის ძირისაკენ? რა ღონისძიება შეაჩერებს შეუჩერებელ ძირს დაცემას ბონების კურსისას, რომელიც ახლაც კი მოჩვენებითი, სიმბოლიურია? მმართველი პარტია რეზოლიუციებით ფიქრობს ხელწასული საქმის გამოკეთებას, „შეპოჩინკებას“; მას კეთილი სურვილი აქვს სავალდებულო სესხის მოწყობით ნაწილი ბონების ხაზინაში შემოიტანოს და ასე მოასვენოს დღე და ღამით მომუშავე ბონების საბეჭდავი მანქანა. ახლო მომავალი გვიჩვენებს — რამოდენიმეთ მაინც მიაღწევს თუ არა ის კეთილი სურვილის განხორციელებას და ამ გზით ყალბი ფულის ბეჭდვის მიტოვებას. მაგრამ კიდეც რო შევიდეს ხაზინაში ბონები და ხელახალი მოგზაურობა იწყონ უკან სპეკულიანტების და კულაკების ჯიბეებისკენ, ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს ჩვარის მსგავს ბონების ღირებულებაზე: შეიძლება მათი კურსის დაცემის სისწრაფე ცოტა ხნით იკლებს, მარა დაცემის შეჩერება ან, მით უფრო, ბონების ღირებულების მაღლა აწევა მოსალოდნელი არ არის: ბონების მოჩვენებითი ღირებულება განსაზღვრულ ღირებულების დონეს ვერ მიაღწევს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რაოდენობის გამრავლება შეწყდება. ამ უბედურებისგან თავის დაღწევას მენშევიკები ფიქრობენ ძველის ძველი საშუალებით: ისინი ყველა ქვეყნებში და კეთილი გულის ხალხში დაეძებენ ოქროს ბონების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ვინ და სად მოძებნის ახლა ამ ყვითელ ლითონს „კეთილშობილური“, დემოკრატიული საშუალებით? ნ. ჟორდანია შურით გაიყურება საბჭოთა რუსეთისკენ. რომელიც მისი სიტყვით ადვილად აღად გენს ომის გათავების შემდეგ ქაღალდის ფულის კურსის წონასწორობას, „ვინაიდან იქ ბლომათაა დაგროვილი ოქრო და ვერცხლი“, „ვინაიდან იქ მთავრობამ კერძო პირებს ჩამოართვა ეს სიმდიდრე“. ჩვენში კერძო საკუთრების ასეთი შეგინება რასაკვირველია წარმოუდგენელია. მართალია არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც ქართველი მენშევიკები „რუსულ“ ენას ხმარობდენ. იგივე ნ. ჟორდანია 1918 წ. ე. წ. ამიერ კავკასიაში რაცა საბუთებლა მენშევიკების პროგრამულ დეკლარაციას, აი როგორ მსჯელობდა ფულის სისტემის გამო:

«ჩვენ იძულებული ვიქნებით აქ ფულის მოჭრას შევუდგეთ, ან და მივიღოთ ესა თუ ის ზომები ფულის ნიშნების როგორმე უზრუნველსაყოფად. ჩვენ მოგვიხდება მოგროვება მთელი ოქრო-ვერცხლის, რაც კი ჩვენ მოგვეპოება, ჩვენ კი მოგვეპოვება ის. ჩვენში ბლომათაა ისეთი დაწესებულებები, სადაც ოქრო ვერცხლი მრავალ საუკუნოების განმავლობაში იყრიდა თავს. ეს დაწესებულებებია მონასტრები, ეკლესიები, სასახლეები და სხ., უნდა ჩამოვართვათ მათ ეს ძვირფასი ლითონი, მოვახდინოთ მისი რეკვიზიცია და ხაზინას გადავცეთ ჩვენი ქაღალდის ფულის უზრუნველსაყოფად“. ხომ ოქრო-სიტყვებია ოქროს შეძენის გზასა და საშუალებაზე? მაგრამ ეს მაშინ იყო ნათქვამი, როცა მენშევიკები საბოლოოდ არ მიკედლებოდენ მუქთა-ხორობის სასახლეებს და მონასტრებს, როცა მათ ჯერ კიდევ ომი არ გამოეცხადებიათ ლატაკთა ქონებისათვის. ახლა სხვა ჰანგებზე მღერიან ისინი, ახლა რევოლიუციონერთა და სოციალისტთა კეთილშობილება უკარნახებს მათ—ხელი არ შეახონ არც სასახლეებს და არც მონასტრეებს, არამედ აფრინონ თავისი ფინანსების მინისტრი ანტანტას ქვეყნებისკენ სესხის საშოვნელად. მაგრამ მინისტრის ხანგრძლივი „კომანდიროვკა“ უნაყოფო დარჩა, თან მილიონები დაუჯდა ხაზინას. წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთის ან ინგლისის მონათმფლობელებმა მისცენ საქართველოს 20 ან 30 მილ. ოქრო სესხად. გამოაბრუნებდა და სიცოცხლის სულ ჩაბერავდა ეს საქართველოს გახუნებულ და დაფლეთილ ბონებს? მეგობრული დახმარების გაწევისათვის „დასავლეთის იმპერიალისტები“ მიიღებდენ ისეთ კონცესიებს, რომ საქართველო მყის მათ ერთ-ერთ კოლონიად გადაიქცეოდა და გასამკეცებული მუხრუჭი მოუჭერდა ისედაც გაძვალტყავებულ სასაქართველოს მშრომელ ხალხს. შემოზიდული ოქრო ორიოდე თვის შემდეგ ისევ ევროპაში გაიზიდებოდა, თუ კი მენშევიკებს მართლა აქვთ გადაწყვეტილი საწარმოვო იარაღების შემოზიდვა საქართველოში ნაცვლად შამპანიურის და სხვა ფუფუნება-გარყვნილების საგანთა. შეიძლება განზრახვა აქვთ ოქრო სახელმწ. ბანკის სარდაფში დააწყონ და ამ დაფლული ლითონით გამოაცოცხლონ ბონების კურსი? კეთილ არიან მორწმუნენი, მაგრამ ძველი აღთქმის მოკირკიტე ეკონომისტები ვერ დაატყუილებენ და ვერ გადალახავენ იმ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვა ომის შემდეგ, კაპიტალიზმის პროცესში სრულიად შეირყა ფულის ნიშნების განსაზღვრული დამოკიდებულება წარმოების ნივთიერ საფუძვლისაგან, ხოლო ქაღალდის ფულის გადაგვარება ანარეკლია იმ მომაკვდინებელი კრიზისის, რასაც განიცდის კაპიტალისტური საქონლის ბლებმიცემობა, რომლის საშუალება და რეგულიატორი იყო წინეთ ქაღალდის ფული, ოქრო უკვე აღარ წარმოადგენს ახლა იმ საყოველთაო ეკვივალენტს, იმ საქონელს, რომელშიაც დანარჩენი საქონელი გამოხატავდა თავის ღირებულებას. ოქროს მომარაგება მხოლოდ სახ. ბანკის სარდაფში შესამჩნევათ არ დაეტყობა ბონების კურსს, ოქროთი განაღდება კი საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის მალე გაასუფთავებდა ბანკის სარდაფს ოქროსაგან, რომელიც ჭეშმარიტ ქართველ „მარქსისტებს“ ფეტიშად გაუხდიათ.

Как ни кинь—все клин. უკიდურესათ სასაცილოცაა და დამცირებული ბონების გამობრუნება შეუძლებელია კერძო, კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგზე, რაც გინდ ოქროს ბუმბულზე არ მოასვენოთ ისინი. მათი გამობრუნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი გადაიქცევიან გაცვლა-გამოცვლის უბრალო ნიშნებათ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც სხვა საწარმოვო საშუალებაზე კერძო საკუთრებასთან ერთად ჩამოართმევს ბონებსაც იმათ, ვისაც ახლა ისინი მუხლზე საყარი აქვთ.

## მორიგი საკითხის გამო

ჩვენმა პარტიამ დიდი დევნა და შევიწროება გადაიტანა და დღესაც ამ რეპრესიების რეჟიმში განაგრძობს თავის არსებობას. მაგრამ უცვლელი არა არისრა, და რამდენათაც ძლიერდებოდა ჩვენი საწინააღმდეგო ზომები, იმდენათ (თუმცა ამ ზომებისგან დამოუკიდებლათ) ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის ის ეკონომიური კრიზისი, რომელმაც უკვე კატასტროფის კარამდე მიიყვანა იგი. აქედან წარმოსდგა, რომ, როდესაც მმართველი პარტია დღიურ წესრიგში სვამს ეკონომიური კრახის საკითხს, ჩვენი პარტია საკითხს აყენებს თავის აწმყო მდგომარეობას და მისი ახლო მომავალის შესახებ.

ამ ორ მოვლენის შორის ერთი შეხედვით არ არსებობს არავითარი მიზეზობრივი კავშირი. მაგრამ ეს მხოლოთ ერთი შეხედვით. თვით მმართველ პარტიის ტაქტიკაში შეგვიძლია დავინახოთ ჩვენ ერთგვარი ცვლილება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ის სერიოზულათ შეშფოთებულია შექმნილი მდგომარეობით და არც აქვს იმედი, რომ ნაცადი გზით,—ყველაფრის ბოლშევიკებზე გადაბრალებით—შესძლოს თავი დააძვრინოს პასუხისმგებლობას და სამშვიდობიზე გავიდეს. იმდენი დაიჭირეს და გადაასახლეს ჩვენი პარტიის წევრები ამ კურთხეულ ლეგალიზაციის დროს, რომ ბოლშევიკების მომიზეზება ველარავის შეიყვანდა შეცდომაში და კარზე მომდგარ განსაცდელის თავიდან ასაშორებლათ საჭირო შეიქნა ნამდვილი მიზეზების ძებნა და შესაფერი ზომების გამონახვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიურ თათბირებზე კრინტიც არ დაუძრავთ ბოლშევიკებზე და არ ცდილან ჩვენზე გადმობრალების დემაგოგიური ფანდით მიეფუჩეჩებინათ ყველასათვის ცხადათ დასანახი ფაქტი აუტანელი კრიზისისა.

მეორე მხრით, სრულიათ ბუნებრივია, რომ ჩვენს პარტიულ წრეებში საკითხი პარტიის მდგომ-რეობის შესახებ წამოყენებულ იქნა სწორეთ ამ ეკონომიურ კრიზისის დროს.

მეტის მეტათ გაითიშა ჩვენი პარტიის რიგები, მეტათ ბევრი პასუხისმგებელი ამხანაგი ჩამოგვაშორეს, და თუმცა არ შეწყვეტილა პარტიული მუშაობა, მაგრამ მისმა თვისებამ და რაოდენობამ უეჭველია, იკლო. პარტიას შეუძლია, თუნდაც დიდი ტანჯვით, გადიტანოს ყოველი დანაკლისი და განაგრძოს თავისი განვითარება ნელი ტემპით მაინც. მაგრამ საქმის ასეთი ვითარება შესაძლოა მხოლოთ ნორმალურ დროს და ისეთ პირობებში, როდესაც არავითარი შესამჩნევი ცვლილება არა ხდება საერთო ცხოვრებაში. ჩვენ კი ერთბაშათ მივადექით ეკონომიურ კრახს და ამას აღარ მალავს თვით დღევანდელი მმართველი პარტია. სრულიათ ბუნებრივათ იბადება საკითხი—რა მდგომარეობაშია ამ დროს ჩვენი პარტია, რა ძალას წარმოადგენს იგი, რა როლს თამაშობს ან შეუძლია ითამაშოს იმ მძიმე მომენტის დროს, რომელიც საერთო ცნობით უკვე ბატონდება ჩვენს ქვეყანაში.

კითხვა ჩვენი პარტიის კრიზისის შესახებ უკვე დაისვა და მას უკვე გამოეხმაურენ ჩვენი პრაქტიკი—ამხანაგები. კითხვა სწორეთ პრაქტიკულათ დგას და არა თეორეტიულათ. თეორიის, ჩვენი იდეების და პრინციპების დაცვის საქმეში ჩვენ ვერ დავემდურებით ჩვენს ახლო წარსულს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი პრინციპიალური დავა და კამათი გადაგვხდა და თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღირსეულათ დავიცავით ჩვენი დროშა და არავითარი მარცხი არ განგვიცდია. ამ მხრით ჩვენ გვეყო ის მცირედე ძალები, რომლებიც შეგვრჩა გააფთრებული რეპლესიების ხანაში.

სამწუხაროთ, ასევე არ არის საქმე, როცა შევეხებით მის პრაქტიკულ მხარეს. ამ მხრით ბევრი რამ ვერ არის რიგზე ჩვენს პარტიაში და სწორეთ ამ მტკივან ადგილს ეხებიან და იკვლევენ ამხანაგები. ჩვენ არა გვაქვს ისეთი პარტიული აპარატი, როგორიც ჩვენთვის საჭიროა და რომელიც არსებულ ძალების მიხედვით შეიძლება რომ გვქონდეს. და არა გვაქვს სწორეთ იმიტომ, რომ თეორია და პრაქტიკა დიდათ დაშორდა ერთმანეთს და ესენი ერთმანეთის შევსებით და ჰარმონიულათ განვითარების ნაცვლათ რაღაც არა ნორმალურ ცალმხრივობას წარმოადგენენ პარტიაში. თეორია ვერ პოულობს დაუყოვნებლივ გამოხმაურებას პარტიაში და ეს, რა თქმა უნდა, მისი პრაქტიკის ბრალია. პარტიული კრიზისის დასაძლევათ სწორეთ მის პრაქტიკულ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება და ის იქნეს შესაფერ დონეზე აყვანილი.

ამხანაგები უკვე გამოსთქვამენ ამის შესახებ თავის აზრებს და იმედია, ეს საკითხი მოკლე დროში სავსებით ამოწურული იქნება. ხოლო რომ გაუადვილოთ ამხანაგებს უფრო ნათლათ წარმოიდგინონ ჩვენი ნაკლულევანების ძირი და შესაფერი წამალიც გამოძებნონ, ჩვენ საილიუსტრაციოთ წამოვაყენებთ ერთ მხარეს, რომელსაც გაზეთის დაყენებასთან აქვს კავშირი.

ჩვენი გაზეთის ფურცლები მეტათ ღარიბია ქალაქის და სოფლის მუშათა ცხოვრების დამახასიათებელი მასალით. ამ საქმის მოსაგვარებლათ მრავალნაირი ზომები იყო მიღებული, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა ჩვენს თანამშრომელ—კორესპონდენტებზე. განა მათ ნორმალურათ მიაჩნიათ, რომ გაზეთი გამოდიოდა და შიგ მარტო სახელმძღვანელო წერილები და უცხოეთის ამბები იბეჭდებოდეს? არა გვგონია. ჩვენს წინ კი ასეთი ფაქტია. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უკვე კრახამდი მიდის და ამ დროს არც ჩვენი და არც მოწინააღმდეგის პრესა არ იძლევა კონკრეტიულ სურათს ამ გაჭირვებისა და ტანჯვა-წამებისა, რომელსაც, უეჭველია, განიცდის ჩვენი ქალაქის და სოფლის მუშა-გლეხობა. ადვილი გასაგებია, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეთა პრესას არ მოეპოებოდეს შესაფერი ცნობები, რადგან ისინი დაინტერესებული არიან ისეთი ამბების დამალვასა და მიფუჩეჩებაში. ხოლო ჩვენი პრესა სარკესავით უნდა ხატავდეს ჩვენი მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამს და ამისთვის ის დიდ ძალას და ენერგიას უნდა ხარჯავდეს. ჩვენი კორესპონდენტები ნამდვილი მესაიდუმლენი უნდა იყვნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, მათ უნდა შესავალი ქონდეთ ამ ცხოვრების თვით მიუვალ ჯურღმულებში და ნახულშემოწმებულ ყოველივე საყურადღებო ამბებს დაუყოვნებლივ აწვდიდენ იმ პარტიულ აპარატს, რომელსაც გაზეთი ეწოდება.

ეს ასე არ ხდება და განა ძალების ნაკლებობით აიხსნება ეს ჩვენი პარტიისათვის პირდაპირ დაუშვებელი მოვლენა?

ჩვენ ვათავებთ ამ კითხვის დაყენებით და ვიმედოვნებთ, რომ პრაქტიკი-ამხანაგები ამას და ამის მსგავს კითხვებს უეჭველათ მოუძებნიან სწორ პასუხს უეჭველათ მოუძებნიან მიზან-შეწონილ ზომებს, ჩვენი მორიგი საკითხი ახლო მომავალში უნდა ამოიწუროს.

## პარტიული სიეზდის შესახებ

ჩვენი პარტიის ცხოვრებაში არც ერთი საკითხი ისე საკმაოთ არ მომწიფებულა, როგორც პარტიული სიეზდის დაუყონებლივი მოწვევა.

ჩვენმა პარტიამ ამ ხუთი თვის წინათ მოიპოვა ლეგალობა, მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ ლეგალურმა მუშაობამ ვერ მიიყვანა პარტია ღირსეულ დონემდე. რაშია საქმე? მართლაც არ არის საკმაო ლეგალური მუშაობა?

ამ საკითხებს რომ პასუხი გავცეთ, უნდა ხაზი გაუსვათ ორ მომენტს, მხედველობაში ვიქონიოთ ორი პერიოდი: ერთია არა ლეგალური და მეორე კი ლეგალური პერიოდი ჩვენი პარტიის არსებობისა. ჩვენ არ შევუდგებით იმის კვლევას და ძიებას, თუ რამდენათ სწორი და მიზანშესაწონი იყო ჩვენი პარტიული მუშაობა არა ლეგალობის დროს, ამის შესახებ საკმაო წერილები მოთავსდა ჩვენს პრესაში თავის დროზე; მხოლოთ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა პარტიამ საქართველოში თავის არსებობის პირველ პერიოდში შეინარჩუნა რევოლიუციონური სული, პარტიული ორგანიზაციები და საკმაო ხელმძღვანელები. ამის ახსნა ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ პარტიულ მუშაობაში, რომელსაც ადგილი ქონდა მაშინ—პარტია აწყობდა საქალაქო, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო კონფერენციებს და თათბირებს, ერთი სიტყვით პარტია იყო მძლავრი.

# დღიური.

**ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარმა აიღო ქ. მელიტოპოლი, სკადოვსკი, პერეკოპი და სოფლების მთელი რიგი.**

**სპარსეთის წითელმა არმიამ აიღო ქ. რეშტი და განაგრძობს მტრის დევნას.**

**იტალიაში მუშების მასიური დაჭერა დაიწყო.**

**ინგლისში გაფიცვების გამო რკინის გზებზე 500 მატარებელია გაჩერებული, ნავთსადგურებში კი—112 გემი. მრეწველობის ზარალი აურაცხელია.**

მოძრავიდა ქონდა სამოქმედო ხაზი მიუხედავათ იმისა, რომ ათასზე მეტი პარტიული ამხანაგები დემოკრატიულ ციხეებში მუდამ იყვნენ გამომწყვდეულნი.

რა სურათი გვეშლება ჩვენ თვალ წინ ლეგალობის შემდეგ?

ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს ორი მომენტი: პირველი პარტიული მუშაობის უაღრესათ გაფართოვება, მასებში დაუშრეტელი ენტუზიაზმი; მეორეში კი პარტიული მუშაობის დაქვეითება, აქტივობის მოდუნება, მასებში ერთგვარი ინდიფერენტიზმის გამეფება.

ლეგალობის პირველ დღეებში მთავრობის რეპრესიები სუსტი იყო, განსაკუთრებული რაზმის წევრები მხოლოდ ზვერავდენ ჩვენს ბანაკს და ამ ხანაში აღდგენილ იქნა პარტიული მუშაობა, აუარებელი გლეხები და მუშები მიიზიდა ჩვენმა პარტიამ. ასეთმა გაცხოველებულმა მუშაობამ შეაშფოთა შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმი და დაიწყო საშინელი რეპრესიები. რამოდენიმე ასეული ამხანაგი გააძევეს საქართველოს საზღვრებიდან და მათი საკმაო რიცხვი მძევლებათ დაიტოვეს ციხეებში. ეს იყო საზავო ხელშეკრულობის ერთ-ერთი მუხლის დარღვევა და ამ მომენტში ჩვენმა პარტიამ ვერ შეძლო საჭირო პასუხის გაცემა, რამაც დააფრთხო მასა და დააქვეითა პარტიული მუშაობა.

ამნაირათ უმთავრესი მიზეზი პარტიული მუშაობის მოდუნებისა არის მთავრობის რეპრესიები, რის საპასუხათაც პარტიამ ვერ ამოწურა ლეგალობის დასაცავათ ყოველივე საშვალებანი. მეორე, უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმაში. რომ ჩვენ ვერ შევძელით პარტიული სიეზდის მოწვევა, საჭირო ორგანიზაციების შექმნა და პარტიული დისციპლინის ღირსეულ სიმაღლეზე დაყენება, პარტიის ხელმძღვანელები არ იცნობენ მასსის სულისკვეთებას, არ იციან თუ როგორია ადგილობრივი პირობები პარტიული მუშაობისათვის და რაც უმთავრესია—ლეგალობის განმტკიცება, საბოლაოთ მისი ჩამოყალიბება ჩვენმა პარტიამ ვერ შესძლო. ჩვენ ვერ მოვიწვიეთ ვერც საგუბერნიო და ვერც საქართველოს ორგანიზაციების ყრილობა, ვერ გამოვიმუშავეთ სამოქმედო გეზი და ამის გამო არ გვაქვს თვით პარტიული მასსის მიერ აწონ-დაწონილი და შემუშავებული პარტიული ტაქტიკა. ყოველივე ამის უქონლობამ გამოიწვია პარტიის აპარატის მოდუნება და გაამეფა მასსებში აქამდე უცნობი გულგრილობა.

ამნაირათ ჩვენ არალეგალობიდან გამოვედით, გადმოვიტანეთ ლეგალურ ნიადაგზე ჩვენი ორგანიზაციები, მაგრამ ვერ შევქენით მჭიდრო მოძრავი პარტიული ორგანიზაციები, ვერ დაუკავშირდით ჩვენს მასსებს.

რომ საკითხი საბოლოვოთ გადავჭრათ, რომ გამოვარკვიოთ ჩვენი ლეგალური არსებობის სრული შინაარსი, რომ არ დავკარგოთ პარტიული მასსა და ღირსეულ ნიადაგზე დავაყენოთ კომუნისტური პარტიის მუშაობა საქართველოში, გადაუდებელ საკითხათ მიმაჩნია პარტიული ყრილობის მოწვევა, შექმნილ მდგომარეობის ყოველმხრივი დაფასება, პოლიტიკურ-ტაქტიკური გეზის გამომუშავება, თვის მასსებიდანპარტიულ ორგანიზაციების არჩევა და ყველასათვის ერთი სამოქმედო გეგმის ერთმანეთის დახმარებით გამომუშავება.

თუ ეს ცხოვრებაში გავატარეთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პარტია გადაიქცევა მძლავრ პარტიათ, რომელსაც საშვალება მიეცემა ლეგალური იდეიური ბრძოლით მასსები გაიყოლიოს და თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის გამანთავისუფლებელ რევოლიუციონურ ბრძოლაში.

ასე დგას საკითხი. მხოლოთ პარტიული სიეზდი გამოგვიყვანს შექმნილი მდგომარეობიდან; საჭიროა თავის დროზე ჩვენმა პრესსამ სიეზდის საჭირბოროტო საკითხები გააშუქოს.

**ანგანი.**

## ადგილობრივი პრესა.

**ისტორიის მსვლელობა და მუქთი რჩევა-დარიგება.**

ვის არ ახსოვს მენშევიკების სისტემატიური პროპაგანდა იმ შაბლონური აზრებისა, რომ რაკი ინგლისი კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანაა, მუშათა მოძრაობაც აქ უნდა იყოს ყველაზე ძლიერი და სოციალიზმისკენაც ამ ქვეყანამ უნდა გადადგას პირველათ ნაბიჯი. არა ერთი და ორი წერილი ვუძღვენით ჩვენ ამ ყალბი აზრის გაბათილებას და საერთო მდგომარეობის კონკრეტულათ გათვალისწინებით ვიკვლევდით და ვხსნიდით ინგლისის მუშათა მოძრაობის ჩამორჩენილობის მიზეზებს. მენშევიკები ახლა ეჭიდებიან ამ მიზეზებს, როდესაც უკვე დაიძრა ინგლისის მუშათა კლასი და რევოლიუციონურ გზაზე შედგა. უკანასკნელ გაფიცვების გამო „ერთობა“-ს თითქმის მუხლობრივ მოყავს თავის დროზე ჩვენ მიერ წამოყენებული საბუთები:

„ინგლისი კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანაა, სადაც სოფლის მოსახლეობა უმნიშვნელო მინიმუმამდის არის დაყვანილი და ქალაქის პროლეტარიატი ყველა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობას შეადგენს. მიუხედავათ ამისა კლასიური ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის აქამდის სწორეთ ინგლისში იყო დაჩრდილული იმ კოლონიურ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ოსტატურათ აწარმოებდა ინგლისის ბურჟუაზია. კოლონიებიდან გამოწოვილ სიმდიდრის ერთ ნაწილს ინგლისის ბურჟუაზია პროლეტარიატსაც უნაწილებდა, რის კეთილდღეობას მაღალ საფეხურზე სწევდა და ამით ანელებდა მის უკმაყოფილებას. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი ნიშნებია იმის, რომ კოლონიების ყვლეფა უკვე მისულია იმ წერტილამდის, როდესაც მისი კიდევ გაძლიერება შეუძლებელი ხდება და როდესაც იქიდან გამოწოვილი სიმდიდრე აღარ კმარა ინგლისის პროლეტარიატის გაზრდილ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და მის უკმაყოფილების ჩასაჩუმებლათ. დღეს ამ უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.“

ყველა ამის გამო „ერთობას“ შესაძლებლათ მიაჩნია მის მიერ არა ერთხელ უარყოფილი პროლეტარიატის დიქტატურის დღიურ წესრიგში დაყენება. რასაკვირველია, ის ვერ ღალატობს თავის წესს და ადათს—ყოველ მოხერხებულ დროს ზომები მიიღოს საბჭოთა რუსეთის ჩასაწიხლავათ და ერთხელ კიდევ აღნიშნოს მისი ის „საბედისწერო ნახტომი“, რომელიც თურმე „კისერს მოატეხინებს პროლეტარიატს“. ისიც დიდი რამეა „ერთობისაგან“, რომელიც გუშინ დევდარიანის პირით კაპიტალიზმის გამომთელებაზე ოცნებობდა, რომ დღეს დრომოჭმულათ გამოაცხადოს იგივე კაპიტალში.

„ჩვენც გვგონია (რამდენი ხნის ვადა აქვს, ნეტავ ამ მგონიაობას! მეპრესე), რომ ევროპის კაპიტალიზმმა მოჭამა თავის დრო. მაგრამ მასთან ბრძოლის დაწყება სწორეთ იმ ქვეყანაში, სადაც მისი „მესაფლავე“ კლასი სრულიათ სუსტი და უმწეოა, და ამ ბრძოლის დაწყება იმ მეთოდებით რომლებიც ხალხის კეთილ-დღეობის განადგურებას უფრო უდრის, ვიდრე მის ამაღლებას, ეს პროლეტარიატის გამარჯვების წამს უფრო აგვიანებს პირიქით, ეს ბრძოლა უნდა დაიწყოს სწორეთ იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი ძლიერია რიცხვითაც, შეგნებითაც, გამოცდილებითაც და იმ მეთოდებით, რომლის წყალობითაც ქვეყნის კეთილ-დღეობა ამაღლდება და არ დამდაბლდება“.

როგორც ხედავთ, „ერთობამ“ მისთვის ჩვეული, დიაკვნური შაბლონით გაათავა. ის დარიგებას აძლევს ისტორიას, რომელმაც სოციალისტური რევოლიუცია ამ ქვეყნიდან უნდა დაიწყოს და არა იმ ქვეყნიდან. მართალია, „ერთობა“ არავითარ სასყიდელს არ თხოულობს ამ ჭკუის სწავლებისათვის, მარა ვინ არ იცის, რომ როგორც მუქთი ვექილის სიტყვაში აზრი არ არის, ისე მუქთი ჭკუის სწავლებაში ღირებულება არ მოიპოება, და ისტორიაც მას ვერაფრათ ვამოიყენებს, რადგან მას თავისი ჭკუა აქვს და წინაღმდეგ „ერთობის“ გაფრთხილებისა, მან კიდევ დაიწყო ეს რევოლიუცია. ის შემდეგშიაც თავისი ლოღიკის თანახმათ განაგრძობს რევოლიუციის გვნვითარების და ყურადღებას არ მიაქცევს ბრძენ „ერთობას“ რომელსაც ამ საქმეში სიტყვის მეტი არა ეხმარებარა და ცდილობს მუდამ მზა-მზარეულზე გამოვიდეს. ისტორიას თავისი გზა აქვს და მას გამოცნობა უნდა.

* * *

**დევდარიანის მარგალიტები.** დევდარიანი ედავება გაზ, „ნაციონალისტს“, ეგ სახელწოდება არ შეგვფერისო. რა საბუთის ძალით?

„ვინც კერძო საკუთრებას იცავს, ის ამ (ერის) უმრავლესობის მოწინაამდეგეა, ის მტერია ეროვნული მთლიანობის, ყოველი „ნაციონალისტი“ ამ მხრივ საშინელი ანტინაციონალისტია. თქვენც ეს მეორე სახელწოდება უფრო შეგშვენდებათ“.

ამნაირათ ბ-ნი დევდარიანი სიტყვა „ნაციონალისტს“ თავის მფარველობის ქვეშ იღებს და ვერ იმეტებს მას იმ ხალხისთვის, რომელიც აშკარათ უწოდებს თევის თავს ნაციონალისტს. რას დაეხარბა ამ სიტყვაში ქართველი მენშევიკი? იმას, რომ ეს სიტყვა თურმე ეროვნულ მთლიანობის აზრს გამოხატავს. და რაკი ასეა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მენშევიკებს ეს სიტყვა უფრო შეშვენდებათ, ვიდრე ძველი სახელწოდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბ-ნ დევდარიანს მის მიერ სიტყვა „ნაციონალსტის“ მიერ ატეხილ დავაში იმ პირობით, რომ არც მის ძველ მფლობელს წაერთვას ეს სახელწოდება და დევდარიანის პარტიასაც ოფიციალურათ მიენიჭოს იგი, ღმერთი, რჯული, ორივეს ეყოფა და კარგათაც დაშვენდებათ.

სამაგიეროთ ბ-ნი დევდარიანი ჩვენ აღარ გვედავება დიქტატურის შესახებ და აშკარათ აღიარებს, რომ რუსეთში განხორციელდა მუშა-გლეხობის დიქტატურაო“. ეს ცოტაა. თურმე საქართველოშიაც განხორციელებულა ეს დიქტატურა. ღმერთმა ქნას, მარა რაღაც ფარცაგათ არ უნდა იყოს ამ დიქტატურის საქმე, რაკი დევდარიანმა იგი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო:

„რუსეთში განხორციელდა მუშა-გლეხობის დიქტატურა, რადგან იქ ამ დიქტატურის საშუალებით უნდოდათ სინამდვილის ერთბაშათ გადალახვა (ერთ „მარქსისტათ“ ეს ფრაზა ღირს! მეპრესე), უნდოდათ გაკეთება ისეთი საქმის, რომელიც არ შეეფერებოდა ისტორიულ გარემოებებს. საქართველოში შესაძლებელი გახდა ეს დიქტატურა, რადგან აქ მოვინდომეთ გაკეთება იმ საქმის, რომელიც არ იყო შეუძლებელი თანამედროვე პირობებში“.

იქ შეუძლებელ საქმეს აკეთებენ, აქ შესაძლებელს და ამ ორ წინააღმდეგობას თანაბრათ ახლავს დიქტატურა. ლოღიკური მსჯელობის მარგალიტია რაღა! და იგივე ავტორი მეტათ იოლათ, ასე ვსთქვათ, სასხვათაშორისოთ იკვლევს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი კრიზისის მიზეზებს:

„აქ კი (საქართველოში) უფრო გარეშე პირობებში უნდა ვეძებოთ დღევანდელი კრიზისის მთავარი დასაწყისი. ჩვენი ქვეყნის (საბჭოთა რუსეთის) მეზობლობა ჩვენთვის ერთი ამ გარეშე პირობათაგანია“.

არა, მეზობლობა აქ რა შუაშია. ეს უფრო ხატის მიზეზი იქნება. აკითხვინეთ მკითხავს და წადით სალოცავათ. მხოლოთ მხურვალე ლოცვით თუ განიკურნება ის თქვენი დაავადებული ავადმყოფი, რომელსაც ეწოდება „კაპიტალიზმი“

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).**

## საზღვარ-გარეთ

**არჩევნები საბერძნეთში.**

**სტამბოლი.** 18 ოქტ. „იკდამი“ სწერს: „ბალკანეთის სახელმწიფოებში შინაგან საქმეთა სამინისტროები ყოველთვის არიან „უმრავლესობის ფაბრიკები“, პარტია, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ყოველთვის აღწევს თავის მიზანს. ამ სამინისტროს განკარგულებაში არის პოლიცია და ამის შემწეობით ის ყოველთვის მიიღებს სასურველ უმრავლესობას.

აი კიდევ მეორე ელემენტი, რომელიც ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს არჩევნებს საბერძნეთში. ეს არის მცხოვრებლები ახლად შემოერთებული ადგილებისა.

მივიღებთ რა მხედველობაში ამას, ადვილი წარმოსადგენია თუ რა შედეგებს მიიღებს არჩევნები საბერძნეთში.

ეს უკანასკნელი მეტად საგულისხმიერო უმცირესობისათვის. ვენიზელოსის მთავრობას, სევრსკის ტრაქტატის ძალით უნდა შემოეღო პროპორციონალური არჩევნები წარმომადგენლებისა. ასრულებს კი ის ამას. მუფისა და ადრიანოპოლის ქალაქის თვითმმართველობის თავმჯდომარის დაპატიმრება არჩევნების წინ, არის საარჩევნო ფანდი. დაპატიმრება ფრაკიის მუსულმანების წარმომადგენლისა, გამოიწვევს ტერორს. განსაკუთრებით კი მუფტას დაპატიმრებამ, რომელსაც ექცეოდენ, როგორც ავაზაკს და რომელიც იქმნა ციხეში გაგზავნილი, მოახდინა დიდი აღშფოთება წრეებში“,

**მუსულმანები და პარლამენტის არჩევნები საბერძნეთში.**

**სტამბოლი.** 20 ოქტ. ოპოზიციონურ პარტიის პროტესტის გამო, რომელიც შეეხება მთავრობის ბრძანებას. მაკედონიის მუსულმანების სალონიკში შეკრებას თათბირისათვის აუკრძალავს და მოამავალ არჩევნების კანდიდატების დასახელებას, მთავრობამ ამის შესახებ გამოუშვა შემდეგი ოფიციალური განცხადება:

„მთავრობას სრულებით არ აღუკრძალია მაკედონიის მუსულმანების წარმომადგენლების სათათბიროთ შეყრა. მხოლოდ მთავრობამ აღკრძალა და კიდეც აღკრძალავს მასსიურ კრებებს მუსულმანებისას, როგორც მაკედონიაში ისე სალონიკაშიაც, ვინაიდან ასეთ კრებებს აქვს პანისლამისტური ხასიათი საბერძნეთის სახელმწიფოს საზღვრებში.

**შავი ჭირი სომხეთში.**

**ერევანი,** 20 ოქტომბერი. სად. სანაინში იყო მაგალითი შავი ჭირით გახდომისა, რომლისაგანაც ერთი გარდაიცვალა. საზღვარ გარეთიდან ჩამოსულებს ექიმები ათვალიერებენ, სომხეთში შესვლის ნება არა აქვთ ბათომიდგან გამოსულებს, თუ მათ არა აქვთ მოწმობა, რომ ისინი თავისუფალი არიან შავი ჭირისაგან.

**სამხედრო ოპერაციები.**

**ტრაპიზონი,** 20 ოქტომბერი. ალმასავლეთის ფრონტი. სომხებმა საჰაერო დაზვერვის შემდეგ, 350 კაცისაგან შემდგარ რაზმით და ორ ზარბაზნით შემოუტიეს სოფ. შჩობან-კეის, კიდეც დაიკავეს ის და წაიწიეს კაზიზმანის ჩრდილოეთის რაზმებისაკენ. მაგრამ კონტრშეტევით იმავე დღესვე ჩვენმა ნაწილებმა აიძულეს ისინი დაეტოვებიათ ეს სოფელი. ამ ბრძოლის დროს სომხებმა დაკარგეს 40 დახოცილი კაცი და ბევრიც დაჭრილი. ჩვენი ნაწილები, რომლებიც იყვნენ გაგზავნილი სოფ. ბეიუკის ასაღებათ, დაამარცხა მტერი და წამოიყვანა ტყვეთ 9 კაცი. ამას გარდა ჩვენ წავართვით 40 თოფი და ორი ცხენი. დაშნაკელები გაიქცენ ღჟანალიკის მთის მიმართულებით.

ყარსის მიმართულება. მტრის ჰაეროპლანმა, რომელიც გამოჩნდა ყარსის მხრიდან ჩამოაგდო ყუმბარები სოფ. კარა კლისზე და ჰერტოზე, რომლებიც იმყოფებიან ახალ-სელიმის აღმოსავლეთით. ჩვენი მზვერავების ცნობით, სომხებმა დატოვეს ტელეფონის მასალები და მიიმალენ ყარსის სიმაგრეში.

**სომეხ აფიცრის წერილი.**

**ტრაპიზონი,** 20 ოქტომბერი. გაზეთი „იკბარი“ სწერს: „სარიკამიშის აღების შემდეგ, სომხის ერთ მოკლულ აფიცერს აღმოაჩნდა წერილი, მიმართული თავისი ძმის სახელზე, და რომელშიაც სხვათაშორის სწერს:

„ჩვენმა სულელებმა დაიწყეს ბრძოლა ოსმალეთის ვეებერთელა ძალებთან, რომელიც არის თავმოყრილი ოლთისის რაიონში. ორ შეტაკებაში ჩვენ დავკარგეთ 12 დახოცილი და 35 დაჭრილი. ოსმალეთის რეგულიარულ ნაწილების მოსვლამ ჩვენ ჯარისკაცებზე დიდი გავლენა მოახდინა. ჩვენებს შეუძლია ბრძოლა ქურთების ბანდებთან მხოლოდ, ოსმალეთის რეგულიარულ ჯარებს კი ვერ გაუმაგრდებიან. არ ვიცი როგორ გამოვალთ ამ უბედურ მდგომარეობიდან. ოსმალეთის ძალები თანდათან მატულობენ. მხოლოდ ჩვენ ორი: მე და ჩემი ამხანაგი მირიმანოვი ვიცავთ სამხედრო დისციპლინას, დანარჩენები კი ქურდობას და ძარცვა გლეჯას ეწევიან“.

**მდგომარეობა ირაქში**

**ტრაპიზონი,** 20 ოქტ. ინგლისის ნაწილები, რომლებიც იმყოფებოდენ რევანდუზეში და პანაკეში, გარშემორტყმული აჯანყებულების მიერ, გაიქცენ და დატოვეს ყველაფერი. ჩვენი ნაწილების შეტევის გამო, რომელიც გაგზავნილი იყო გეი-სანჯაკზე, დატოვეს ყველაფერი ინგლისელებმა და გაიქცენ.

ტომები, რომლებიც ინგლისელებს უჯანყდებიან უმთავრესად სამ მიზანს აყენებენ:

„პირველ, რათა განთავისუფლებული იქმნეს სარწმუნოება ყოველგვარ ჩარევისაგან. მეორე, ყოველგვარ შევიწროებისაგან განთავისუფლდეს ტომები და მესამე მთავარი დებულება: აღდგენილ იქნას ოსმალეთის იმპერიის ძალა-უფლება, რომლის გავლენის ქვეშ ჩვენ ვცხოვრობდით 700 წელიწადს“.

**აგ-ბაბის მიდამოებში**

**ტრაპიზონი,** 20 ოქტ. გაზ. „იკბალ“-ის ცნობით, ცხენოსან დამზვერავმა რაზმმა, მთის მიმართულებით მიაღწია სოფ. არდოსამდის, რომელიც იმყოფება ამ მთის სამხრეთით. გზაში არ შეხვედრიათ სომხები. სოფელში შესვლის დროს, იქ აღმოჩნდა 20 კაცი, რომლებმაც დაიხიეს აგ-ბაბის მთის მიმართულებით.

მოწინააღმდეგე არ აღმოჩნდა აგრეთვე ამ—დაველარ—დაგის მთაზედ, და არც სოფლებში დაგერმალში და მიხაილოვო-კაფაში. ერთ დატყვევებულ სომეხის ცნობით, სომხეთის ყველა ნაწილები შეჯგუფებული არიან ყარსის მიდამოებში.

**სომხები საფრანგეთის არმიაში.**

**ტრაპიზონი,** 20 ოქტ. გაზეთ „დჟაგატამტ“-ის ცნობით, სომხები რომლებიც იმყოფებოდნენ საფრანგეთის ჯარში უკან უშვებენ. ნაწილს აგზავნიან ამერიკაში და ნაწილი კი მიდის ერივანში.

**სალონიკის მუსულმანების მოთხოვნილება.**

**ბათომი,** 28 ოქტ. გაზეთი „ელეფტეროს პონტეს“-ი იუწყება, რომ მუსულმანურმა მოსახლეობამ სალონიკისამ მიმართა საბერძნეთის მთავრობას მოთხოვნილებით: დაბრუნება იმ სასაფლაოების, რომლებიც იმყოფებიან სალონიკის გარეშე, ოსმალეთის მეჩეთის ბუმალის, რომელსაც ინგლისელები ოკუპაციის დროს ხმარობდენ თეატრად, მედრესის (სასულიერო სემინარია) ხადჟი სულეიმანის, რომელიც ციხეთ გადააქციეს. ამას გარდა მცხოვრებლები მოითხოვს, სახელმწიფო ხარჯზე რემონტს ყველა მეჩეთებისას, მედრესისას და მუსულმანურ სახლებისას, სადაც ცხოვრობდენ გადახვეწილი ბერძნები. საზოგადოება აგრეთვე მოითხოვს ყველა იმ შენობების დაბრუნებას, რომლებიც ეკუთნოდენ მუსულმანებს და დახვეწის შემდეგ ისევ დაბრუნდენ.

**გერმანიის განიარაღება.**

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი. „დეილი-მეილის" ცნობით გერმანიის განიარაღება სწრაფი ტემპით ხდება: უკვე განადგურებულია 27 ათასი ზარბაზანი.

**პურის ულუფის შემცირება.**

**რეველი**, 25 ოქტომბერი. გერმანიის სურსათის მომარაგების მინისტრი ოფიციალურათ იუწყება, რომ პურის ულუფა შემცირებული იქნებაო, ვინაიდან პროვინციიდან პური ძალიან ნაკლები შემოდის. 1919 წელს 1 სექტემბერს შემოიტანეს 500 ათასი ტონი პური, მიმდინარე წელში კი—130 ათასი ტონი.

**კეთილ საიმედო მოქალაქეთა კორპუსი.**

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი. სექტემბერში ინგლისის მთავრობა „კეთილ საიმედო მოქალაქეთაგან" ირლანდიაში კორპუსის მოწყობას შეუდგა: ამ კორპუსის ვალდებულებაა დაეხმაროს ინგლისის პოლიციას ირლანდიაში „წესრიგის დაცვაში რევოლიუციონერების გამოსვლების დროს. მოწოდებამ, რომელიც მოუხმობდა მოქალაქეთ ამ ჟანდარმულ კორპუსში ჩასაწერათ, ირლანდიელებს შორის საშინელი აღშფოთება გამოიწვია.

**ეროვნული ყრილობის დადგენილებანი.**

**ანგორა**, 12 ოქტ. ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც ხალხის და სამშობლოს განთავისუფლებას ისახავს მიზნათ, შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა: განთავისუფლებულ ვაკანსიებზე არჩევნები მანამ არ მოხდება, სანამ რომელიმე ლომის (ოლქის) წევრთა რიცხვი ეროვნულ ყრილობაში არჩევნების წესდებაში ნაჩვენები რიცხვამდის არ დავა; ეროვნული ყრილობის წევრები, რომლებიც არა საპატიო მიზეზით წელიწადში ორ თვეს არ დაესწრება ყრილობას, ყრილობის წევრობიდან გამორიცხულათ ითვლება; ყრილობის წევრს უფლება არ აქვს სხვა რამე სამსახურში შევიდეს, გარდა მინისტრობის პოსტისა, ჯარების ან კორპუსების მთავარ სარდლობისა, ისიც დიდი ეროვნული ყრილობის ჟუნებართოთ ქვორუმისათვის საკმარისია, თუ დეპუტატების ნახევარი რიცხვი გამოცხადდება.

**ახალი მიმდინარეობა.**

**ტრაპიზონი**, 12 ოქტომბერი. გაზ. „იქაზი", რომელიც ყარა-ქისარში გამოდის, სწერს:

„სოციალისტური მოძრაობა ახლა ყოველგან დაწყებულია, ხალხი ისწრაფის თვით აიღოს ხელთ ძალა-უფლება, მოიპოვოს დამოუკიდებლობა და მოიშოროს სხვა სახელმწიფოების ბატონობა.

მოწინავე ელემენტები შეურყეველი რწმენით მიდიან ამ გზით. დაბრკოლებებს მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.

იმათ იციან, რომ ხალხი გაიმარჯვებს, მოიპოვებს თავისუფლებას, ვინაიდან ბუნებრივათ შეუძლებელია, რომ ერთი მუჭა დიპლომატებმა და კაპიტალისტებმა მართონ მთელი ქვეყანა.

უკვე დიდი ხანია საუკეთესო მეცნიერები ქადაგებენ სოციალიზმს, იმედს გამოთქვამენ, რომ სოციალისტური წყობილების დამყარებით, ყოველგვარი ბოროტება ისპობა, რომელიც ღრღნის თანამედროვე საზოგადოებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრმა მიბაძვა ყოველთვის ვერმოიტანს სარგებლობას. გასაკვირველია სოციალიზმი ეს მოთხოვნილების ნაყოფია, მაგრამ მოთხოვნილება ყოველთვის არ არის ერთნაირი. უკანასკნელ ხანებში ჩვენც ამ ახალ მიმდინარეობას მივყვებით. მაგრამ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ბრმა მიმბაძველობას. ჩვენ უნდა შევუთანხმოთ ახალი მიმდინარეობა ჩვენი ქვეყნის საჭიროებას.

მეფის რუსეთის წარმომადგენელს კუდაშევს მიუტოვებია მისი თანამდებობა.

**ინგლისის სისათუთე.**

**მოსკოვი**, 20 ოქტ. გენერალ მაკრედიმ, რომელიც სარდლობს ინგლისის ჯარებს ირლანდიაში, ამერიკელ ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ „ათი შამოღებული ტერორი მხოლოდ ჰუმანიური მოქმედებააო". და რომ კანონის დამრღვევლების სასამართლოში მიცემა მხოლოდ სისათუთე იქნებაო.

**მეფობა დასავლეთში.**

**მოსკოვი**, 20 ოქტ. გაზეთი „პოპულერი"-მ დაბეჭდა სტატია პელეის, რომელიც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საქმეეფზე, და დეიგის უფროსად დანიშვნას საფრანგეთის საგარეო კაბინეტში. სტატიაში ხაზგასმულია საფრანგეთის გარეშე პოლიტიკის რეაქციონორობა, და მიუთითებს იქითკენ, რომ ახალი პრემიერის პოლიტიკაც ისეთი იქნება როგორიც იყო მილიერანისო, რომლის დამოკიდებულება კარდინალურ კითხვებთან ევროპის პოლიტიკისა და საბჭოთა რუსეთისა—იყო მეტად არაორაზროვანი. ეხლანდელ დროში მე ვამჩნევ მხოლოდ ორ პოლიუს—სწერს ლეი—მოსკოვს და პარიზს და ისტორია ამჩნევს განსხვავებას: მეფობა ახლა იწყება დასავლეთში".

# საბჭოთა რუსეთში

**საალმშენებლო მუშაობა სოფლათ**

**სარატოვი**, 31 ოქტომბ. ატვარის მაზრის, სოფ. გალახოვის გლეხებმა საკუთარი საშვალებებით საუცხოვო სახალხო სახლი ააშენეს; მუშაობაში ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივი მღვდელი, რომელმაც გააკეთა დეკორაციები.

**სავაჭრო ურთი-ერთობანი ფინეთთან**

**პეტერბურგი**, 28 ოქტ. ფინეთთან ზავის ჩამოგდებისა და სავაჭრო ურიერთობის აღდგენის გამო სად. ბელოსტროვში სადამოენო იხსნება.

**დამრტყმელი სამრეწველოები**

**სარატოვი**, 31 ოქტ. ფაბრიკების, ქარხნების და სახელოსნოების დამრტყმელი ჯგუფები უკვე მოწყობილია.

**საყოველთაო ყრილობა თერგის ოლქში**

**კავკავი**, 30 ოქტ. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარის სტალინის განკარგულებით 15 ნოემბერს აწყობენ თერგის ოლქის ყრილობას. განზრახულია შეუდგენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას, და მასთან იღებენ ზომებს, რათა რაც შეიძლება მცხოვრებთა ფართო მასებმა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, გარდა აშკარა რეაქციონერებისა. წარმომადგენლობის ნორმაა: ერთი კაცი ყოველ ხუთი ათასზე.

**რ. კ. პ. საოლქო თათბირი.**

**კავკავი**, 30 ოქტომბერი. რ. კ. პ. კავკასიის საოლქო თათბირს დაესწრო 72 დელეგატი. 37 გადამჭრელი ხმით და 35 თათბირით. პირველად მოსმენილ იქმნა ამხ. სტალინის მოხსენება, რომელშიაც ამხანაგმა დაასურათა რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და ამოცანები, რომელიც რუსეთისთვის დღიურ წესრიგშია ამ ჟამათ. ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში აღნუსხა ის ხელსაყრელი პირობები, რომლის მეოხებით საბჭოთა რუსეთს შეუძლია აწარმოვოს ბრძოლა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან.

**ტანისამოსის მიწოდება წითელ არმიისათვის.**

**მოსკოვი**, 25 ოქტ. აგვისტოში შეკერეს 42,000 შინელი, 29 სექტ.-დან 2 ოქტ.-დე კიდევ შეჰკერეს 33,000 შინელი, რაც ყოველდღიურათ უდრის 6½ ათას შინელს.

**მრეწველობის თან და თან მოგვარება.**

**მოსკოვი**, 21 ოქტ. ვოლგის სამანუფაქტურო დიდი ფაბრიკა დღეში 400 ნაჭერ საქონელს უშვებს. შრომის ნაყოფიერება ნორმას აღემატება.

**კასპიის იქეთა მხრის პროფესსიონალურ კავშირების ყრილობა.**

**მოსკოვი**, 31 ოქტ. კასპიის იქეთა მხრის პროფესსიონალურ კავშირების საოლქო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მიესალმება წითელ არმიას, რევოლიუციის გმირთა გმირებს, პირდება მათ ყოველმხრივ დახმარებას საბჭოთა რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლაში.

**სახალხო მეურნეობა**

**მოსკოვი**, 31 ოქტომბერი ნინიჟის მაზრაში (არხანგელის გუბერნია) აღმოაჩინეს ქვანახშირის მადნეულობა. ყველაზე უფრო მდიდარი ფინები მდ. პოლტიმეს ნაპირებზეა, შემდეგ მდ. ნიუხჩის და პინეგის ნაპირებზე. ამჟამათ ყველა ნაჩვენებ ადგილებში სწარმოებს გამორკვევა, თუ როგორ მოაწყონ ნახშირის დამუშავება.

**ელექტრონის სადგურები.**

**მოსკოვი**, 1 ნოემბერი. საბჭოთა მთავრობამ სხვა და სხვა სამრეწველო კუთხეებში მოაწყო ელექტრონის სადგურები ფაბრიკა-ქარხნების და აგრეთვე მახლობელ სოფლებას გასანათებლათ.

**ძაფების დამზადება.**

**მოსკოვი**, 1 ნოემბერი. სიზრანში ძაფების დამზადებელი არტელი მოაწყვეს. მრეწველობა იზრდება.

**სავაჭრო ურთიერთობა პოლონეთთან.**

**მოსკოვი**, 29 ოქტომბერი. (რადიო) თქვენი წინადადება შაქრის დამზადების შესახებ უუდიდესი ყურადღებით იქნება განხილული. რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე იოფფე ამ საქონლის ექსპერტების თანხლებით დაბრუნდება რიგაში.

**სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობა.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო.) სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა ყველას, რომ 20 დეკემბერს ამ წელს მოსკოვში დანიშნულია მერვე ყრილობა სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და ყაზახების საბჭოებით. დღის წესრიგი. 1) მოხსენება ს. რ. ც. ა. კ. და სახალხო კომისართა საბჭოსი საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. 2) ძირითადი კითხვები სახალხო მეურნეობის აღორძინებაზე. 3) მრეწველობის აღორძინება. 4) ტრანსპორტის აღდგენა. 5) სახალხო მეურნეობის განვითარება. დახმარება გლეხობისათვის. 6) ბიუროკრატიასთან ბრძოლა. 7) არჩევნები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა. ს. რ. ც. ა. კ. მდივანი: ენუქიძე.

**სემიონოვის დაპატიმრება.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). ადამიანი სემიონოვი, რომელიც ჩიტიდან გაფრინდა ჰაეროპლანით და ჩამოფრინდა სადგურ მაფევორე, დაიჭირეს პარტიზანელებმა.

**მრეწველობის აღორძინება.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). ეკატერინობურგის ქარხნების წარმოება ორჯერ მეტათ გაიზარდა. ქარხანამ, რომელიც ამზადებს ცელს და ნამგალს, უკვე 70 ათასი ცალი გამოუშვა.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული ცნობა რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბისა. მოსკოვი, 31 ოქტ. (რადიო).**

## ყირიმის ფრონტი.

შავი ზღვის ნაპირზე ჩვენ დავიკავეთ ნავთსადგური სკანდოვსკი.

**პერეკოპის** რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ძლიეს რა მტრის სასტიკ წინააღმდეგობას და გადალახეს მავთულის რამდენიმე ხლართი და დაიკავეს რა პერეკოპი აწარმოებენ ბრძოლას ამ პუნქტის სამხრეთით. პერეკოპის ჩრდილოეთით ჩვენ რამოდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ბერისლავის** რაიონში ჩვენი ნაწილები აწარმოებენ ბრძოლას ბერისლავის სამხრეთ აღმოსავლეთით ას ვერსზე.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რამოდენიმე სოფლები ნიკოპოლის სამხრეთ აღმოსავლეთით 40 ვერსზე.

მელიტოპოლის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა 30 ოქტომბერს **დაიკავეს ქალაქი მელიტოპოლი.** მელიტოპოლის ჩრდილოეთით ბრძოლებში ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 39 ოფიცერი 320 ჯარის კაცი, 10 ტყვიის მფრქვეველი და სხვა დავლაც წამოვიღეთ.

რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის ვანკომის მაგიერ—კლიმ.

**გადამწყვეტი დარტყმა.**

**მოსკოვი**, 1 ნოემბერი. (რადიო). პირველი გადამწყვეტი დარტყმა უკვე ვაგემეთ მტერს. წითელმა ჯარმა აიღო პერეკოპი და მელიტოპოლი. კიდევ უნდა მოვიკრიბოთ ძალები ფრონტისათვის. საბჭოთა რუსეთი შემდეგ იგრძნობს ნაყოფს რევოლიუციის ფრონტებისათვის სამი წლის დაუღალავ შრომას. გაცხარებულ ბრძოლებში სამხრეთის ფრონტზე წყდება ბედი სამხრეთის კონტრ-რევოლიუციისა.

ჩვენმა წითელმა გმირებმა გადალახეს რა მთელი რიგი მავთულის ხლართებისა და დაიკავეს პერეკოპი, უნდა მისდიონ კვალდაკვალ დამარცხებულ მტერს და მიარეკოს იგი შავ-ზღვამდი. მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებიც მოქმედებდნენ ბერისლავის, ნიკოპოლის და მელიტოპოლის რაიონში ჩვენი შეტევით უკვე მირეკილია ვიწრო ყელამდის. პირველი შედეგები საბჭოთა რესპუბლიკის სიმამაცისა და მოქმედების ბარონზე გასამარჯვებლათ, წითელმა არმიამ საერთაშორისო დახმარების მეოხებით, რომელიც აკეთებს დიად საქმეს — სამხრეთის კონტრ-რევოლიუციის მოსპობას,—უკვე დაგვანახვა ჩვენ პირველი გამარჯვებები შავი ბარონის გასანადგურებლათ.

**ვრანგელის წინააღმდეგ**

**მოსკოვი**, 1 ნოემბერი. (რადიო) ბოგდუხუმიდან და უკრაინის მრავალი ქალაქებიდან მიდიან ვრანგელზე წითელი მოხალისე ცხენოსნები, სრული მოწყობილობით, რომელიც წაართვეს სოფლის კულაკებს.

**ფრონტის დახმარება**

**მოსკოვი**, 1 ნოემ. (რადიო). ორიოლში ფრონტისთვის საჭირო საგნების კეთება სწარმოებს დიდი აღტაცებით. სწირავენ ფულს და საგნებს. ყველა ფაბრიკები და ქარხნები საბჭოთა დაწესებულებების დავალებულ სამუშაოს ზედმეტი შრომით ასრულებენ.

**წითელი ზურგი წითელ ფრონტს**

**მოსკოვი**, 1 ნოემ. (რადიო). ფრონტზე მოვიდა მატარებლები საჩუქრებით და სათბობ ტანისამოსით, რომელმაც გაამხნევა სულიერათ წითელარმიელები. დეენურც ერთ წუთს ნუ შეჩერდება მუშაობა ჩვენი წითელი გმირების დასახმარებლათ, რომლებიც აწარმოებენ ოქტომბრის დიად დღეებში გადამწყვეტ ბრძოლას სამხრეთის კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

**ესტონიაში.**

**პეტერბურგი**, 18 ოქტ. ესტონიაში ყველა ციხეები სავსეა მუშებით. ტუსაღები იმდენია, რომ ციხეებში არ ეტევიან და ესტონიის დამფუძნებელმა კრებამ ჯარის ყაზარმები გადააქცია ციხეებათ.

**უნგრეთი იღვიძებს.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). უნგრეთში იფეთქა რკინისგზელების გაფიცვამ.

**ნახშირის მუშების გაფიცვა ინგლისში.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). ინგლისის ნახშირზე მომუშავეების გაფიცვის გამო, რკინის გზებზე შეწყვიტა 500 მატარებელმა. მარტო ლივერპულის ნავთსადგურში უმოქმედოთ დგას ნახშირის უქონლობის გამო 112 გემი. ინგლისის მრეწველობის ზარალი აურაცხელია. ფიქრობენ, რომ გაფიცვას მიემხრობიან ვაჭრების მოსამსახურეები და სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებიც.

**მუშათა მოძრაობა იტალიაში.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). იტალიის მთავრობამ მიიღო რეპრესიული ზომები. აპატიმრებენ პროფესიონალურ კავშირების მუშებს იტალიის რკინისგზელებისას. ეს ხელს უწყობს საერთო გაფიცვას. ვენეციაში გაფიცვა უკვე დაიწყო. იტალიის მთავრობამ აკრძალა იტალიაში რუს მოქალაქეების შამოშვება.

**იტალიის კომუნისტური პარტია.**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო). იტალიის სოციალისტურ პარტიის დროებითმა კომიტეტმა, რომლის სათავეში დგას ამხ. ბომბაჩი, მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგებს გაატარონ სავსებით კომუნისტურ ინტერნაციონალის პროგრამა, გამორიცხონ პარტიიდან ყველა ის ელემენტები, რომლებიც არ დგანან კომუნისტურ პლატფორმაზე.

იტალიის სოციალისტური პარტია და იტალიის შრომის ფედერაცია მოუწოდებს მუშებს მოიკრიბონ მთელი ძალები საბოლოვო გამარჯვებისათვის, რომელიც იქნება კომუნიზმის გამარჯვება იტალიაში· მიუთითებს რა იტალიის პროლეტარიატის მდგომარეობაზე, მოწოდება მოუწოდებს მუშებს პროლეტარულ რევოლიუციისაკენ.

**რუმინიის ნოტა ჩიჩერინს**

**მოსკოვი** 30 ოქტ. (რადიო). რუმინიის პრემიერმა ავერესკუმ იმ ნოტაში, რომელიც გაუგზავნა ჩიჩერინს 22 ოქტ. ლაპარაკობს, რომ რუმინია დიდათ მოხარულია რუსეთთან კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებას.

**ვრანგელის წინააღმდეგ**

**მოსკოვი**, 30 ოქტ. (რადიო) ს. რ. ც. ა. კ. თავმჯდომარე ამხ. კალინინი, რომელსაც არიგებდა საჩუქრებს ფრონტზე ინახულა ერთი ცხენოსანთა დივიზია. პარადის შემდეგ არმიის უფროსმა წითელ მებრძოლების სახელით ითხოვა ძვირფასს სტუმრებს გადაეცათ რუსეთის მუშების და გლეხებისათვის, რომ წითელი არმია შეასრულებს მასზე დავალებულ საქმეს: დაამსხვრევს ვრანგელს და ამით გაუხსნის გზას რევოლიუციონურ მოძრაობას დანარჩენ ქვეყნებში.

**მუშათა მოძრაობა იტალიაში.**

**ბერლინი**, 26 ოქტ. (რადიო მოსკოვიდან). სამრეწველო დაწესებულების მუშებმა, ფლორენციის მახლობლად გამოაცხადეს გაფიცვა, ბოლონის მუშათა პარტიის მდივანის დატყვევების გამო. გაჩხრეკის და დაპატიმრების დროს გენუიაში პოლიციამ მუშებს წაართვა ლენინის სურათი და სხ. იტალიის რევოლიუციონერებისა. სურათები წაიღეს, როგორც დამამტკიცებელი საბუთები.

**ფრონტის კვირა.**

**მოსკოვი**, 31 ოქტ. დონეცის ოლქში პისიჩანსკის რაიონში კომუნისტურ ახალგაზრდათა ყველა ორგანიზაციებმა თავის წევრებს მობილიზაცია უყვეს შავი ბარონის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

**უარს აცხადებენ ომზე.**

**მოსკოვი**, 31 ოქტ. გენ. ზეილიგოვის დივიზიის მე-9 პოლკმა უარი განაცხადა ლიტვის წინააღმდეგ წასვლაზე.

**ინგლისის ქვა-ნახშირზე მომუშავეთა რეფერენდუმი.**

**ლიონი**, 1 ნოემბ. თუმცა იმედიააქვთ, რომ რეფერენდუმი, რომელიც მოხდება სამშაბს, მოიწონებს შეთანხმებას, მაგრამ, „პტი-პარიზიენის" ცნობით, აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მიღებულ შეთანხმების წინააღმდეგ ოპოზიცია იზრდება.

**ვრანგელის მიმართ.**

**ბალაშოვი**, 30 ოქტ. ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავათ ო. კ. პ. ადგილობრივი კომიტეტი წითელ რაზმს აწყობს ვრანგელის წინააღმდეგ გასაგზავნათ. მოხალისეთა წითელ რაზმს იმ ნივთებით გამოაწყობენ ფრონტზე გასაგზავნათ, რომელსაც „ფრონტის კვირაში" შეკრიბავენ.

**სპარსეთის მდგომარეობა.**

**ბაქო**, 31 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს დაწყებული სპარსეთის წითელი არმიის შეტევა წარმატებით ვითარდება. 22 ოქტომბერს მათ აიღეს ქალ. რეშტი. მოწინააღმდეგე შეუჩერებლივ უკან იხევს. მას სდევნის წითელი არმია.

**მიწისათვის ბრძოლა.**

**ბერლინი**, 26 ოქტ. (რადიო მოსკოვიდან). სასოფლო მეურნეობის მუშებმა უარი თქვეს მიწათმფლობელებთან მოლაპარაკებაზე მსოფლიო მუშების კომიტეტი მოუწოდებს მუშებს—გააძლიერონ ბრძოლა გერმანელ მემამულეებთან მათი საბოლოოთ დასამარცხებლათ.

**იტალია დგას რევოლიუციის წინ.**

**მოსკოვი**, 30 ოქტომბერი. (რადიო). იტალია დგას ახალ ამბების წინაშე, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყება. მუშები არ არიან კმაყოფილი ლიდერების, რომლებიც დათმობაზე წავიდნენ ბურჟუაზიასთან. ძლიერდება გლეხთა მოძრაობა. გაზეთი „ავანტი" სწერს, რომ არ გავა რამდენიმე დღე, რომ ბრძოლა დაიწყება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის შორის. ეს იქნება უკანასკნელი შეტაკება კაპიტალისა და შრომის შორის.

**ინდოეთში.**

**მოსკოვი**, 30 ოქტომბერი. (რადიო). ინდოეთში დიდი შღელვარებაა, იმის გამო, რომ ინდოეთის ჯარებს აგზავნიან მესოპოტამიაში აჯანყების ჩასაქრობათ.

**მოწინააღმდეგის ძალები.**

**ბაქო**, 30 ოქტ. შაჰის ძალები მხოლოდ ერთი დივიზიისაგან შედგება, რომელსაც ყოფილი დენიკინელთა აფიცრები ხელმძღვანელობენ. ეს დივიზიებ ერთად ერთი დასაყრდნობი ძალაა შაჰის მთავრობის. სპარსეთის ყაზახებს არ უნდათ ბალშევიკებთან ბრძოლა, ჯარის კაცები არ არიან ჩაცმული, ძალიან ცუდათ იკვებებიან, არ ღებულობენ ჯამაგირს, აფიცრები სპეკულიაციას ეწევიან; თითქმის ბურჟუაზიაც უნდობლად უყურებს შაჰის ჯარებს. ინგლისელებმა გამოიყვანეს ყველა თავისი ძალები. ტეხნიკური საშუალებანი ინგლისელებისა თავმოყრილია ხომალინის რაიონში იმ მიზნით, რომ მესოპოტამია დასცენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა წერილები

კაპიტალისტური ქვეყანა ინგრევა, ზოგ ქვეყნებში დანგრეულა უკვე, ზოგშიაც დამპალ ბოძზეა დაყრდნობილი და სადაც არის, უნდა წაიქცეს. ძველი კაპიტალისტური ქვეყანა, უთმობს ადგილს ახალს, სოციალისტურ ქვეყანას. მაგრამ ეს არ ხდება მშვიდობიანად. მთელი მსოფლიო აბობოქრებულია, ომის ქარცეცხლში ეხვევა, ერთი კლასი (მშრომელებისა) მეორეს (კაპიტალისტესისას) სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ეხეთქება და არც ერთი არც მეორე არ დაყრის იარაღს მანამდის, სანამდის საბოლოვოთ არ გაიმარჯვებს ან არ დამარცხდება.

ეს ასეც უნდა მოხდეს, სხვა გზა არ არის. მაგრამ ასეთი საბედისწერო ჟამს მსოფლიოში წარმოებული კლასთა ბრძოლა, სამოქალაქო ომი, სხვა და სხვა ქვეყნებში, სულ სხვა და სხვა ელფერს ღებულობს. და ასეთი მასსიური მონაწილეობის მიღება კლასთა ბრძოლა და სამოქალაქო ომში, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მომწიფებულია ნიადაგი კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად და კომუნისტუი წყობილების და დასამყარებლად.

ასეთ სერიოზულ მომენტში, როცა სოციალისტური რევოლიუციის გრგვინვას და ყიჟინას შეუპყრია მთელი კაცობრიობა, რა მოვალეობა აწვება კომუნისტურ პარტიას და თვითეულ წევრს კომუნისტურ პარტიისას? პასუხი ნათელია: იქ, სადაც მუშათა კლასს სავსებით არა აქვს შეგნებული კლასთა ბრძოლის და სამოქალაქო ომის შინაური და უცხოელ კაპიტალისტთა და მჩაგვრელთა ხროვის წინააღმდეგ და მოძრაობა ღებულობს „ნაციონალურს და სხვა ფორმას“, ჩვენ უნდა შევიტანოთ იქ კლასიური სული მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ კომუნისტურ ორგანიზაციების დაარსებას და გაფართოვებას, კომუნისტური შეგნების შეტანას ფართო მასსაში.

მაგალითად ევროპისაგან დამონავებულ-წამებულ ოსმალეთში ნაციონალურ რევოლიუციონურმა ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი ებრძვის მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ბუდეს — ანტანტას. ოსმალეთის მოძრაობაც სისხლიდგან იცლება, რათა დაამარცხოს მისი გამყვლეფელი, განმანადგურებელი, დამონავებული და არარათ მქცეველი დასავლეთ იმპერიალისტების ზრახვანი, ანტანტის სახით. ნაციონალური ბრძოლა გაიმარჯვებს მოკავშირეებზე, რადგან ის ხალხურია, მაგრამ მარტო დასავლეთის მოკავშირეების დამარცხებით არ იქნება გამარჯვებული ოსმალეთის მშრომელი ხალხი მან უნდა დაამარცხოს, როგორც უცხოელი, ისე შინაური მუქთა ხორები, ფაშები, ბეგები და ალალარები. დრო არის შეიგნონ ყველა მშრომელებმა, რომ ერთნი ვართ, ოსმალნი, სომეხი, ქართველი, რუსი, ფრანგი და სხვები. მხოლოდ მშრომელები, და გააფთრებული ბრძოლა გვმართებს ყველა კაპიტალისტების და მუქთა ხორების წინააღმდეგ, რა ნაციისაც არ იყვენ ისინი.

ხსნა მშრომელი მასისა, ყველა ნაციის მშრომელების შეკავშირებაშია: კომუნისტურ ორგანიზაციებში დარაზმვა მშრომელ მასისა, ნამდვილი გამარჯვების მომასწავებელია, მაშ თქვენსკენ ჩვენი ენერგია! მაშ ყველა ერის მშრომელნო, დაირაზმენით კომუნისტურ ორგანიზაციებში! გაუმარჯოს ყველა ერებს მშრომელი მასების სოლიდარობას!

ს. გურიევი.

კრებაზე არავის არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რა უფლებით იყო არჩეული საბჭო. შემდეგ კი გამოირკვა, რომ საბჭო მხოლოდ ქაღალდზე არის, თორემ სინამდვილეში კი, ის არ არსებობს. ეს წარმოადგენს მხოლოთ მენშენიკების დამხმარე ორგანიზაციას, რომელიც სასოფლო კრების მაგივრობას სწევს.

მას შემდეგ, რაც რომ ეს საბჭო აირჩიეს (ამა წლის მარტიდან) ამ სოფელში მასიურ კრებას ადგილი არ ქონებია. მასიური კითხვების გადასაწყვეტათ (გარდა კოოპერატივის კრებისა). საბჭო კი არავითარ სასოფლო საქმეს არ აკეთებს. მაგალითად დღეს ამ სოფელში წვრილმანი ნივთების ქურდობა საზღაპრო ხასიათს ღებულობს. საბჭომ მიაინდომა ზომების მიღება და სთხოვა ქალაქის თავს რათა მას მიეცა ნება ქურდები სასოფლო კრებაზე გაესამართლებია. მაგრამ ამაზე ქალაქის თავმა ვარით უპასუხა (გასამართლებაზე). შემდეგ კი, რაკი საბჭო უუფლებო იყო პასიობას მიეცა.

იყო ისეთი შემთხვევა, როცა მეწისქვილეს მოპარეს ფქვილი. მეწისქვილე მიდის კომისართან და სთხოვს (ვინაიდან მან უკვე იცის სად არის ფქვილი გადამალული) გააყოლოს მილიციონერი და დამნაშავე აღმოაჩინოს. კომისარი ამას არ ინებებს. მხოლოდ უგზავნის მოწერილობას სასოფლო საბჭოს ზომების მისაღებათ. მაგრამ საბჭოს წევრები იმ დღეს ვერ იკრიბებიან, თან არ აქვს ადმინისტრატიული ძალა და ქურდი კი შემდეგ ასწრებს გადამალვას.

მოკლეთ, როგორც უკვე ვსთქვი, ეს საბჭო არ არის, ეს მხოლოთ ფირმაა.

მელენტი.

# პარტიული ცხოვრება

**ხიდისთავი (გურია)**

კვირას 10 ოქტომბერს, ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის შენობაში, მოწვეულ იქნა კოლექტივის კრება. კრებას დაესწრო სრული შემადგენლობა. დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გურ. კომ., 2) მოხსენება იაჩეიკებიდან, 3) პარტიული მუშაობა 4) გურ. კომ. წევრების არჩევა, 5) მუდმივი კომ. არჩევა, 6) სარევიზიო კომისიის არჩევა.

გურ. კომიტეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. მ., რომელიც კრებამ უცვლელათ მიიღო. იაჩეიკების წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა იაჩეიკები სისტემატიურათ ვერ იკრიბებიან, რაც გამოწვეულია ტეხა-კრეფის გამო. საწევრო გადასახადი სისტემატიურათ იკრიბება. მესამე კითხვის გარშემო კრებამ დაადგინა; ყოველივე ზომები იქნას მიღებული, როგორც ძველი იაჩეიკების აღსადგენათ, ისე ახლის მოსაწყობათაც. იქნა დასახელებული ყოველ სოფელში, სადაც ჩვენი ამხანაგებია, პიროვნებები, რომლებსაც ევალებათ ენერგიული მონაწილეობა მიიღონ პარტიულ მუშაობაში. თითოეულ მათგანს, პრეზიდიუმი ვალდებულია წერილობითი აცნობოს. გურ. კომიტეტის წევრად არჩეულ იქნა ამხ. ნ. კ. მუდმივ კორესპონდენტათ კი ვ. კ, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ი. მ ელ. კვ. და გ. მ.

* * *

19 ოქტომბერს დღითი სამშაბათს, ხელმეორედ მოწვეულ იქნა ხიდისთავის რაიონული კოლექტივის კრება, რომელზეც მოწვეულ იყო რამდენიმე მოწინავე ამხნაგები. კრებას დაესწრენ ყველა წარმომადგენლები და 15 არა წევრი.

დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) მოხსენება ბაქოს შესახებ, 2) მოხსენება მომენტზე, 3) კოლექტივის დამატებითი არჩევნები.

ბაქოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ, ნ. ჭ., რომელმაც მიუდგომლათ დაასურათა ბაქოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენებით კრება ნასიამოვნები დარჩა. მოხსენება მომენტზე დროის უქონლობის გამო გადადებულ იქნა, მომავალ კრებამდე. მესამე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან აუცილებელი შეიქნა ყველა იაჩეიკას ყავდეს კოლექტივში წარმომადგენელი, რაიონულ კრების მიერ არჩეულ კოლექტივს მიემატოს თითო წარმომადგენელი წიფნაგვარა-პა, იჰესეულის და ნაგომრის იაჩეიკიდან.

**სოფ. ჯუნჯუათი (გურია.-)**

შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ისეთი უპატრონოთ მიტოვებული კუთხე, როგორიც არის ს. ჯუნჯუათი.

როდესაც ლანჩხუთი ქალაქათ გამოცხადდა. მაშინ ამ კუთხის მცხოვრებლებმა, სთხოვეს ქალაქის თვითმართველობას—რათა ეს კუთხე ქალ. ფარგლებში შეეყვანათ, მაგრამ ამაზე უარით უპასუხეს.

შემდეგ კიდევ მიდიოდა თხოვნა, თხოვნაზე, მაგრამ პასუხი არ ჩანდა, ბოლოს, როცა გული მოიჯერეს, ერთ მშვენიერ დღეს ჯუნჯუათლებს გამოუცხადეს, რომ ისინი ქალაქის სრულ უფლებიანი წევრები არიან. ამას ხალხი სიხარულით შეეგება, რადგან ფიქრობდა: აწი არაფერი გვიჭირს, ქალაქი გვიპატრონებსო. მაგრამ ანგარიში მოსტყუვდა, რაც რომ ეს სოფელი ქალაქს შეუერთდა, უკან წევა უფრო ეტყობა, ვინემ წინსვლა. აგერ უკვე ერთი წელიწადია და ქალაქს არ ჩაუბარებია სასწავლებელი; საცოდავი მასწავლებელი იძულებულია თავის ჯამაგირისათვინ ოზურგეთში იაროს და მით ჯამაგირის ნახევარი გზის ფულში ხარჯონ. ქალაქის საბჭოში არ მიიღეს ჯუნჯვათიდან წარმომადგენელი რაიც ძლიერ ხელს უშლის ამ კუთხის კულტურულ განვითარებას. გზებზე, სამკითხველოზე და ასეთებზე, ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ერთ დღეს, როცა ქალაქს სჭირდებოდა მუშა-ხელი მდ. რიონის დამრის საკეთებლათ, გამოგზავნეს თავისი წარმომადგენელი, კ. წილოსანი, რომლის მოხსენების შემდეგ (რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში) გამოირკვა, რომ საჭიროა სასოფლო საქმეების მოსაწესრიგებლათ არჩეულ იქნეს „სასოფლო საბჭო“. რევოლიუციის შემდეგ ხალხმა წილოსანის სახით პირველათ ნახა, მასთან მისული მთავრობის აგენტი, რომელსაც უკიჟინა მატყუარობა, ფლიდობა, სიცრუე, დანაპირების არ შესრულება, რაზედაც ვერავითარი პასუხი ვერ აგო ამ ვაჟბატონმა, და წყალი ჩაიგუბა პირში.

როგორც უკვე ვსთქვი, მისი მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია „სასოფლო საბჭო“. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

**უმუშევრობა ბათუმში.**

**20 ოქტომბერს** შრომის ბირჟა ინახულა 31 კაცმა (15 მამაკაცი, 16 დედაკაცი). ხელ-ახლა ჩაეწერა 6 კაცი (4 მამაკაცი, 2 დედაკაცი).

მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე არ ყოფილა.

**21 ოქტომბერს** შრომის ბირჟა ინახულა 37 კაცმა (19 მამაკაცი, 18 დედაკაცი). ხელახლა ჩაეწერა 8 კაცი (4 მამაკაცი, 4 დედაკაცი). მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე არ ყოფილა.

**22 ოქტომბერს** შრომის ბირჟა ინახულა 38 კაცმა (14 მამაკაცი, 24 დედაკაცი), ხელახლა ჩაეწერა 8 კაცი (1 მამაკაცი, 7 დედაკაცი(. მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე არ ყოფილა.

**თბილისში.**

4 სექტემბერში შრომის ბირჟაში ჩაწერილი იყო 1029 უმუშევარი (526 მამაკაცი, 503 დედაკაცი), აგვისტოსთან შედარებით 78 მამაკაცით მეტი.

ჩაწერილთა საერთო რიცხვიდან 60 კაცი, მოზარდია (31 მამაკაცი, 29 დედაკაცი).

სამუშაოზე გაგზავნილ იქმნა დასახელებულ თვეში 284 კაცი ანუ 27,6 პროცენტი, 4,4 პროც. ნაკლები, ვიდრე აგვისტოში.

სექტემბერში ჩაწერილ უმუშევართა რიცხვიდან რუსი არის 266 კაცი (88 მამაკაცი, 178 დედაკაცი), ქართველი 357 კაცი (235 მამაკაცი, 122 დედაკაცი), სომეხი—280 კაცი (141 მამაკაცი, 139 დედაკაცი) და სხვ. ეროვნებისა—66 კაცი (31 მამაკაცი, 35 დედაკაცი). ამ ციფრებში არ არიან შეტანილნი მოზარდები.

—

**თბილისის პარიკმახერთა შორის.**

არა მგონია, რომ რომელიმე დარგის მუშები ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდენ, როგორშიაც დღეს ამ დარგის მუშები იმყოფებიან შედარებით სხვა მუშებთან, ჩვენი მუშები მოკლებულნი არიან ყოველგვარ დახმარებას. ვინ არ გინდა მათ ინტერესებს არა სთელავდეს ფეხ ქვეშ, დაწყებული დამქირავებლებიდან გათავებული თვით მათი ინტერესების დამცველ პროფესიონალური კავშირის გამგეობამდი. და ასე ითქმის ამ კავშირის არსებობა ძაფით კიდია ჰაერში და ალახმა უწყის როდის მოსწყდება და დაეშვება ძირს უფსკრულისაკენ რომ ამით მეტი თავისუფლება მისცენ ჩვენს ბ.ბ. ხაზეინებს აძრონ ტყავი ისედაც გაძვალტყავებულ და ეკონომიურათ დაჩაგრულ მუშებს მათი თავაშვებულობით. მაგრამ ჩვენი გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ასეთ მდგომარეობას, და ალხეინათ შესცქერის ხაზეინებს, თუ როგორ აძრობენ ტყავსა ამ დარგის მუშებს.

მე მგონი ჩვენი მუშები არ არიან იმდენათ ჩამოქვევითებული, რომ არ გაუწიონ ანგარიში დღევანდელის ასეთ ყოფნასა და არ მოკიდონ ხელი თავიანთ საკუთარ საქმეს. ისინი კარგათ ხედავენ, რომ მათი ინტერესების დამცველი არავინ არის. საჭიროა მეტი შეგნება და მეტი ენერგია და ერთმანეთში სოლიდარობა და ანგარიშის გაწევა, საჭიროა მოსთხოვონ ძველსა და ახალ გამგეობას, რომ იმათ მუშებს წამოუყენონ სრული ანგარიში თავიანთი მოქმედებისა და გამოიჩინოს მეტი ენერგია და საქმიანობა, თორემ ხომ ხედავთ თუ როგორ გათამამდნენ ჩვენი ბატონი ხაზეინები, და რასაც უნდათ იმას შვრებიან მუშების გასაყვლეფათა და დასამიწებლათ.

პატარა.

—:—

## საზღვარ-გარეთ.

**მოქმედების საბჭოს განცხადება რუსეთის დელეგაციას.**

მოსკოვი, 15 აგვისტო. იმ რეზოლიუციის გარდა, რომელიც ტრედიუნიონების ყრილობამ, მუშათა პარტიამ და პარლამენტის მუშათა პარტიამ გამოიტანეს, რუსეთის დელეგაციამ კიდევ შემდეგი წერილი მიიღო:

„ჩვენ უნდა გაუწყოთ ჩვენსა და ლოიდ-ჯორჯს შორის მომხდარ შეხვედრაზე. ჩვენ წინადადებები უნდა წარუდგინოთ რუსეთის და პოლონეთის მთავრობების წარმომადგენლებს. ზემოხსენებული რეზოლიუცია პროტესტია არა მარტო აშკარა სამხედრო მოქმედებების წინააღმდეგ, ე. ი. ფორმალურათ ომის გამოცხადების წინააღმდეგ, ანუ სამხედრო და საზღვაო ძალების აშკარათ ბრძოლაში გამოყენების წინააღმდეგ, არამედ იგი რეზოლიუცია პროტესტია ნიღაბ ჩამოფარებული ომის წინააღმდეგ.

მთავრობა მთელი საზღვაო ძალებით ბლოკადას არტყამს და აუარებელ სამხედრო მასალებს გზავნის იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ოფიციალურათ ომი არ გამოუცხადებიათ. ბრიტანიის მუშათა კლასს გამოაქვს რეზოლიუციების მთელი რიგი, რომლებიც მიმართულია წინააღმდეგ იმ აშკარა და მალულ დახმარებათა, რასაც რუსეთის რევოლიუციის მოსისხლე მტრები ღებულობენ.

ჩვენ შეძრწუნებული ვადევნებთ თვალყურს რუსეთისა და პოლონეთის მთავრობებს შორის მომხდარ განხეთქილებას. ჩვენ არა ერთხელ გამოუცხადეთ ჩვენს მთავრობას პროტესტი მის მიერ პოლონეთისადმი და ყირიმში ვრანგელისათვის სამხედრო მასალების მიწოდების წინააღმდეგ. ამჟამათ ჩვენ, როდესაც პოლონეთი მოტეხილია, პროტესს ვუცხადებთ ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს, რომლებიც ნეიტრალიტეტს არღვევენ და რუსეთის მტერს ემხრობიან.

ორი წლის გამოცდილება ჰუბნება ინგლისის მშრომელ კლასს, რომ ინგლისის მთავრობის ასეთი ყოფაქცევა არის რევოლიუციონური მთავრობის შემუსვრის სურვილი. პრემიერ-მინისტრი წინააღმდეგს ამტკიცებს; იგი თანხმდება ზავზე იმ შემთხვევაში, თუ იქნება დაცული პოლონეთის დამოუკიდებლობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მთავრობას არა აქვს განზრახვა პოლონეთის დამოუკიდებლობას შეეხოს, და ამიტომ ჩვენ ინგლისის მთავრობას ვაფრთხილებთ რუსეთის წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პოლონეთის ხალხს მიეცემა უფლება თავისი ნებით შემოიღოს როგორიც მას სურს, ისეთი მართველობის ფორმა; ხალხის ამ უზენაეს უფლებას ჩვენ ვიცავთ რუსეთისათვისაც. რომ ეს საკითხი მინსკის კონფერენციამდის გამოგვერკვია, ჩვენ ამ წინადადებებით პოლონეთის და რუსეთის მთავრობებს ჩვენს ქვეყანაში მივმართეთ. ჩვენ კმაყოფილებით შევეგებებით ლონდონში რუსეთის და პოლონეთის წარმომადგენლების პასუხს, როგორსაც ისინი საჭიროთ და შესაძლებლათ ჩასთვლიან.“

ხელს აწერენ „მოქმედების საბჭოს“ მაგიერ:

ადამსონი (თავმჯდომარე) კლასი, ვეძვუდ, სველსი, კამერონი, ვილიამს, ხეტჩინსონი, ოგრედი, გოზლინგი, უსკერ, ხეჯსი, ბრომლეი, ვევინი, რობერტსონი, პერსელი, ოუენი, ბრემლეი, მიდლტონი, კრემი, სმილი, მარგარეტი, ბონდფილდი და ლინდიუ—(მდივანი).

11 აგვისტო, 1920 წელი.

# ჩვენი ფოსტა.

**—ლის:** მოგვაწოდეთ ყველა კრებების ანგარიშები.

**გუგულის:** არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა ერთ გვერდზე დაწერილი.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

# განცხადებანი

გამომცემლობა

**„წითელი ვარსკვლავი“**

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ, 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

**იბეჭდება:**

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.

**დამზადებულია დასაბეჭდათ:**

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.